პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ—ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 27 დეკემბერი 1978 წ. № 298 (17342) ფასი 2 კაპ.

1920 □ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან □ 1978

გაზეთ „პრავდის“ რედაქციას

ლენინის ორდენითა და მესამე „ოქროს ვარსკვლავის“ მიღებით ჩემი დაჯილდოების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებასთან დაკავშირებით ბევრი გულთბილი მოსალოცი დეპეშა და წერილი გამომგზავნეს პარტიულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, საწარმოების, დაწესებულებების, ჯარის ნაწილების კოლექტივებმა და ჩვენი ქვეყნის ცალკეულმა მოქალაქეებმა. რომლებშიც მთლიანად იწონებენ ჩვენი ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, კისრულობენ ვალდებულებას, რომ თავიანთი შრომითი საქმეებით კიდევ უფრო აქტიურად დაუჭერენ მხარს ამ პოლიტიკას.

მივიღე აგრეთვე მოლოცვები და კეთილი სურვილები მოძმე სოციალისტური სახელმწიფოებისა და კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელი მოღვაწეებისგან, საზღვარგარეთის ქვეყნების მთელი რიგი ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისგან.

რადგან არა მაქვს შესაძლებლობა ცალ-ცალკე ვუპასუხო თითოეულ ამ მოლოცვას, ვთხოვ „პრავდას“ დამეხმაროს და ჩემი სახელით ყველას გადაუხადოს გულითადი მადლობა, აღუთქვას მათ, რომ კვლავაც ძალ-ღონეს არ დავიშურებ ჩვენი დიადი საშობლოს აყვავების, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის უშიშროებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის, განუზრელად დავიცავ მტკიცე მშვიდობისა და მშვიდობიანი, თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეს, ხალხთა პროგრესის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმეს.

ლ. ბრეჟნევი.

წინ დიდი საქმეებია!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცხოვრებაში, მისი ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

როგორც „კომუნისტი“ იუწყებოდა, პლენუმმა განიხილა საკითხები: „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებების შესასრულებლად“, აგრეთვე „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“.

პლენუმმა პირველ საკითხზე მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა დასკვნები და დებულებები, რომლებსაც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა შეიცავს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის გადაწყვეტილებანი.

სახელოვნად იშოშმა საბჭოთა ადამიანებმა მეათე ხუთწლიდის სამ წელიწადში. მტკიცე ნაბიჯით, ხუთ წინ და წინ მიდის ჩვენი ქვეყანა. საბჭოეთის მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ ჩვენი საშობლოს ეკონომიკური და სულიერი სიმდიდრის, მისი თავდაცვისუნარიანობის ზრდა, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება. ვინ მოთვლის იმ გამარჯვებებს, რომლებიც უკანასკნელ წლებში მოვიპოვეთ. ძნელია ყველა იმ სიკეთის მთლიანად ჩამოთვლაც, რაც ხალხს სახელმწიფომ მისცა. მაგრამ პარტიას უფრო დიდი ამოცანები აქვს დასახული. სახიბარულია პერსპექტივები, რომლებიც ჩვენს ცხოვრებას კიდევ უფრო ლამაზსა და მდიდარს გახდის, ბოლო სამშობლოს — უფრო მტკიცეს, უძლეველს. სწორედ ამ ნათელ, სასიხარულო მომავლის გეგმებზე. ხუთწლიდის სამი წლის შედეგებსა და მისი მეოთხე წლის ამოცანებზე, პარტიის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე იყო ლაპარაკი პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიან სიტყვაში.

როგორც უკვე ვწერდით, განსაკუთრებით ღირსსამახსოვროა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი საბჭოთა საქართველოსათვის, მისი კომუნისტური პარტიისათვის, რესპუბლიკის ყველა კომუნისტისათვის, ყველა მშრომელისათვის. ნოემბრის პლენუმის მიერ რესპუბლიკის წარმომადგენლობის არჩევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრების ახალი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია. ეს. უწინარეს ყოვლისა, რაზეც სამართლიანად ლაპარაკობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე, დიდი პატივია საქართველოს მთელი პარტორგანიზაციისათვის. ამასთანავე ყველა კომუნისტის, თითოეული მშრომელის საქმიანობის, ყოველივე იმის მაღალი შეფასებაა, რაც ჩვენში ბოლო წლების მანძილზე გაკეთდა და კეთდება.

ამიტომ, ბუნებრივია, პლენუმის მონაწილეებმა გულწრფელი მადლობა გადაუხადეს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საბჭოთა საქართველოზე უდიდესი ზრუნვისა და ყურადღებისათვის, იმ კურსის მოწონებისათვის, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ასე მტკიცედ ახორციელებს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დასამკვიდრებლად, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებად, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებათა და ნეგატიური მოვლენათა ბოლომდე აღმოსაფხვრელად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და უმაღლესი საბჭოს სესიამ თვალით დოკუმენტებში მაღალი შეფასება მისცეს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის გარჯას სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და მთავრობის დადგენილებათა თანამიმდევრულად, მიზანსწრაფულად განხორციელებისათვის.

დიდი კმაყოფილება გამოიწვია ცნობამ, რომ უკვე 12 დეკემბერს რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა პირნათლად შეასრულეს რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ხუთწლიდის სამი წლის დავალება, ხოლო წლის ბოლოსათვის გეგმის გადაჭარბებით რეალიზებული იქნება 408 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

ეს იმას ნიშნავს, რომ სამრეწველო წარმოების მოცულობა სამი წლის მანძილზე გადიდდება 21 პროცენტით და მეტად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 17,8 პროცენტის ნაცვლად. თუ როგორი ტემპი აქვთ აღებული მრეწველობის მუშაკებს, ამას ისიც ცხადყოფს, რომ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის გზით 25 დეკემბრისათვის შესრულდა ვალდებულებით გათვალისწინებული სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის წლიური გეგმა. როგორც ყოველთვის, ამ საქმის სათავეში არიან დედაქალაქის შრომითი კოლექტივები.

რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარება ბევრად განაპირობა კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესებამ, ვადამდე ამოქმედდა და სამრეწველო დენი მოგვცა ენგურჰესის ორმა აგრეგატმა.

პლენუმმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების დაჩქარებით შესამჩნევად სცირდება ჩამორჩენა საშუალო-საკავშირო დონისაგან მთავარი განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით.

წინსვლის დიდ გზაზეა ჩვენი სოფელიც. სულ უფრო მატულობს ხვავი და ბარაქა. ბოლო სამ წელიწადში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო-წლიური მოცულობა მეცხრე ხუთწლედის დონესთან შედარებით 27,8 პროცენტით გადიდდება.

ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა უკვე დაძლიეს ხუთწლედის დამლევისათვის დასახული მიჯნა. წელს განსაკუთრებით გაგვახარეს მევენახეებმაც. მათ მოიყვანეს რეკორდული მოსავალი—მოკრიფეს 574 ათას ტონაზე მეტი ყურძენი. გეგმის გადაჭარბებით მიეყიდა სახელმწიფოს ათასობით ტონა ციტრუსი, მარცვლეული, ბოსტნეული, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, ხორცი, რძე, ბოლო მილიონობით კვერცხი.

ამ წარმატებებმა ცხადია, კეთილსასურველი გავლენა მოახდინა მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობაზე.

გაკეთებული ცოტა არ არის, მაგრამ თვითდამშვიდებისა და გულარხეინობის ხანაბაც არა გვაქვს.

პლენუმმა დაუფარავად, მთელი პრინციპულობით გამოააშკარავა ის სერიოზული ნაკლოვანებები და ზოგან ჩავარდნებიც კი, რომლებიც ხელს გვიშლის, გვაფერხებს. ეს. უპირველეს ყოვლისა. იმიტომ ხდება, რომ ზოგი ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანო, მისი ხელმძღვანელი მუშაკი უინიციატივოდ, გულგრილად მუშაობს, ვერ იჩენს საქმის დედაარსში ღრმად ჩაწვდომის უნარს, ვერ განამტკიცებს საშემსრულებლო დისციპლინას.

მცირეა მეტი წილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ბევრი ხარვეზია სამშენებლო, სატრანსპორტო, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში, ხერიოზულ შეშფოთებას იწვევს რესპუბლიკაში წლეულს სამართალდარღვევათა რიცხვის ზრდა.

ყოველივე ეს მით უფრო მოუთმენელია, რომ მომავლისათვის ჩვენს წინაშე უდიდესი მასშტაბური ამოცანები დაისახა, კვლავაც უნდა განვახორციელოთ ის სტრატეგიული კურსი, რომლის მიზანია საქართველოს საერთო-ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალის ზრდის დაჩქარება, რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონის კიდევ უფრო მეტი დაახლოება საშუალო-საკავშირო დონესთან.

ამ დღეებში გაიმართა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „უამირისადმი“ მიძღვნილი საქართველოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრება. კრების მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები ამ შესანიშნავი პუბლიცისტური ნაწარმოების დებულებათა შესაბამისად იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული საქმიანობის გახარჯღებლად.

წარმატებით რომ გადავწყვიტოთ პროგრამა, რომელიც განსაზღვრეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, როგორც ეს სამართლიანად ითქვა აქტივის კრებაზე, უნდა შევიგრაფიდეთ უამირის სანიმშო გამოცდილებით, ნასვენი მიწვნის ათვისების, უხვი მოსავლის მოწევის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელობის სტილითა და მეთოდებით.

ხერიოზული და მეტად საინტერესო სამუშაო მოელით იდეოლოგიური ფრონტის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებს. ახლა მათი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ ყოველდღიურად, რაც შეიძლება ღრმად, შინაარსიანად გაუწიონ პროპაგანდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს, შედეგებს. მთავარია, რომ ადგილობრივი ცოცხალი ფაქტებისა და მაგალითების გამოყენებით გავამახვილოთ კომუნისტების, შრომელთა ყურადღება არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესი გამოსწორებისათვის, დაეხმარეთ თითოეულ მათგანს იმის ზუსტად, კონკრეტულად განსაზღვრაში, თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს ამა თუ იმ კოლექტივმა, მისმა თითოეულმა წევრმა სოციალისტური შეჯიბრების გზით და ყველა რეზერვის ამოქმედებით, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით, ყოველი ეჭშმარიტი სახალხო თაოსნობისათვის დროული მხარდაჭერით, რათა ყოველი „საგეგმო დავალება უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით სრულდებოდეს.

ამ დღეებში პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგებს და ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან გამომდინარე ამოცანებს, ამ საკითხის განხილვისას ხაზი უნდა გაესვას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, პლენუმზე გამართულ კარგ სკკ-ბაასს, იმ ატმოსფეროს, რომელიც ხუთეულა იქ, იმ სულისკვეთებას, რომლითაც გამსჭვალული იყო როგორც მოხსენება, ისე გამოსული ორატორთა სიტყვები: ჯეროვნად აფასებს რა წარმატებებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ აურიდებია თვალი ნაკლოვანებებისათვის, ვიწრო ადგილებისათვის, პირიქით—იგი თავისი პლენუმების თუ აქტივების ტრიბუნიდან, თავის ყველა დოკუმენტში მოითხოვს, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ ჩვენი პასუხისმგებლობა რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის, ჩვენ ერთმანეთ ადამიანებს მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. მტკიცედ განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ახალი ძალით გავშალოთ ბრძოლა მუშობაში საქმიანი, ლენინური სტილის დანერგვისათვის, ყველა რგოლში ბიუროკრატიულ დამახინჯებათა და მაამებლობის ელემენტების დაძლევისათვის, მათი სრული ამოძირკვისათვის. ამის ერთ-ერთი უტყუარი პირობა კია კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შუდმივი კონტროლი.

და ბოლოს, როცა ლაპარაკია, პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, პირდაპირ უნდა ითქვას: ეს არის ახლა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის წინაშე, სახელმწიფოს წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე არა ერთი კაცისა, თუგინდ რამდენიმე ხელმძღვანელისა, არამედ უსლებლივ ყველა კომუნისტის ყველა ჩვენი მშრომელის, დიდისა თუ პატარისა. აკი ხალხიც ამბობს, ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ხოლო თვითონ ხალხს, თუ მოინდომებს, შეუძლია მთებიც კი დაძრას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით აღუთქვა სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. მის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, წარმატებით შეასრულებენ 1979 წლის საბრძოლო დავალებებს, ჩვენი მშობლიური პარტიის XXV ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომუნისტები სასახელოდ, საქმით გაამართლებენ დაპირებას. ამის მტკიცე საფუძველს იძლევა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის უკანასკნელი წლების მაგალითი, როცა ტრადიციად იქცა დასახული გეგმებისა და ვალდებულებათა შესრულებისათვის თავდადებული, ზოგჯერ პირდაპირ თავგანწირული ბრძოლა, სიტყვის ბოლომდე ერთგულება.

პარტიის გმირობა, ხალხის გმირობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება

რესპუბლიკის აქტიული, საბჭოთა, პროფკავშირული აქტივის კრებაზე 1978 წლის 22 დეკემბერს

ძვირფასო ამხანაგებო!

თითქმის ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მთელი ჩვენი პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მოხდა უმნიშვნელოვანესი მოვლენები — გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და სსრ კავშირის უმაღლესი სესია, რომლებმაც განიხილეს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საარსებო მნიშვნელობის საკითხები.

პლენუმისა და სესიის გადაწყვეტილებებმა, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ ყველგან ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა.

პლენუმისა და სესიის მუშაობის დღეებში მოსკოვის ფოსტა-ტელეგრაფი ძლივს აუდიოდა ფაქსებს. ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მისამართით მოდიოდა და მოდიოდა წერილები და დეპეშები, რომლებიც შეიცავდნენ მილიონობით მშრომელი ადამიანის — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ფიქრებისა და მისწრაფების გამომხატველი მატერიალური მონაცემები, ვიდრე 438 მილიონი ტონა მარცვლეული, რომელიც ყაზახეთმა მოგვცა ყამირის ათვისების დაწყებიდან!

ყამირის მატიანეს უხვად შემოგვინახა დოკუმენტური მასალა — ასეთია ადამიანი — ყოველთვის ესწრაფვის აღნუსხოს ის, რაც მას ასულდგმულებს, მის გრძნობებსა და აზრებს წარმართავს, რაც გამოსცდის მის სიმტკიცეს, სულის სიძლიერესა და მრწამსს. მაგრამ დროთა განმავლობაში, როცა მოსახდარი მოვლენები ისტორიის კუთვნილება ხდება, ხალხის ხსოვნა უთუოდ შემოსავს ხოლმე მათ ლეგენდის შარავანდედით, რომლის მიღმა გიგანტს გაარჩიო დეტალები, კვლავ შეიგრძნო განცდილი, გაიაზრო, თუ როგორ ქმნიდა ყოველდღიურა საზრუნავი, დასახული მიზნების აქტუალურობა, საყოველთაო-სახალხო გმირობის უნიკალურ შენადნობს.

და აი, ახლა ჩვენ სამუშაო მაგიდებზე გვიდევს ლენინე ილიას ძე ბრეჟნევის მოგონებების მესამე წიგნი „ყამირი“, რომელიც წარსულ ამბავს მოგვითხრობს, მაგრამ თავისი გადმოცემის წყობით, ანალიზითა და დასკვნებით სადღეისოა, რისი წყალობითაც ეს ნაშრომი ხდება საპროგრამო დოკუმენტი, რომლის თითოეულ სტრიქონს ჩვენ უაღრესად გულდასმით ვკითხულობთ და არა მარტო ვიაზრებთ, ვეძებთ მასში საისტორიო გაკვეთილს, არამედ ვრაცხთ მას ამავე დროს ცხოვრებისა და საქმიანობის პრაქტიკულ სკოლად.

წიგნში „აღორძინება“, რომელმაც „მცირე მიწასთან“ და „ყამირთან“ ერთად შეადგინა საბჭოთა ხალხის თეული ოქტომბრისშემდგომი ბიოგრაფიის საბრძოლო და შრომითი გმირობის ამსახველი ტრილოგია, ლენინდ ილიას ძე წერს: „როცა უკან ვიყურებით, ვიხსენებთ ამას, რა გაგვიკეთებია, ჩვეულებრივ ამ გამოცდილებაში ვეწაფებით იმას, რაც გამოგვადგება დღეს და გვარგებს მომავლისათვის“.

წიგნის სათაური — „ყამირი“, უაღრესად კონკრეტულია, მასში ზუსტად არის გამოკვეთილი თემა და განსაზღვრული — მისამართი. მაგრამ მოგონებათა, ერთი შეხედვით, ლოკალური ამოცანა ვერ ეტევა განსაზღვრულ ჩარჩოებში და თანდათან იფართოებს ფარგლებს: სამეურნეო პრობლემას ორგანიზაციული მოპყვება, ორგანიზაციულს — პარტიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ამ ამოცანების გადაწყვეტა, თავის მხრივ, მოითხოვს სოციონოლოგიური, ფსიქოლოგიური, დემოგრაფიული, პრომაკანდისტული, პედაგოგიური ინსტრუმენტის მოშველიებას... აი ასე, კონკრეტული გამოცდილების საფუძველზე ხორციელდება ავტორის კონსტრუქციული, სახელმწიფოებრივი მიდგომა პრობლემისადმი, ასე მყარდება მისი უნარი — ყოველ ლოკალურ ფაქტში ხედავდეს მოვლენათა დიდი ჯაჭვის მთავარ რგოლს.

ასე რომ, „ყამირი“—ეს მარტოოდენ ყაზახეთის ყამირი არ არის. „ყამირი“ — ეს გახლავთ განზოგადებაც, რომელიც შორს სცილდება კონკრეტული ფაქტის ფარგლებს. ჩვენ, კომუნისტები, მუდამ პირველმკვალავნი ვიყავით, — მაშინაც, როცა რევოლუციის ალისფერი დროშა ავაფრიალეთ, მაშინაც, როცა კაცობრობის ისტორიაში არნახული ეპოქა — კომუნიზმის მშენებლობის ეპოქა დავიწყეთ, მაშინაც, როცა კოსმოსური ყამირი გავტეხეთ, პირველნი ვიყავით მსოფლიო მასშტაბით, როცა ძალადობასა და ომებს ბრძოლა გამოვუცხადეთ.

და ჩვენ ბედნიერი ვართ, ბედნიერია მთელი საბჭოთა ხალხი, ბედნიერია ახლანდელი თაობა, რომ ლენინიზმს, მუშობის ლენინურ სტილსა და ცხოვრების ლენინურ ნორმებს სწავლობს ისეთი. უფართოესი მასშტაბის პარტიული ხელმძღვანელის უბადლო, შთამაგონებელი მაგალითით, როგორიც არის ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევი, სწავლობს მისი მჩქეფარე ცხოვრებისა და მრავალმხრივი, დაუღალავი მოღვაწეობის მაგალითით.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელს სახელით ჩვენ გულთამდაგი ვულოცავთ ჩვენს ძვირფას ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევს დაბადების დღეს და სამშობლოს უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენისა და საბჭოთა კავშირის გმირის მესამე „ოქროს ვარსკვლავის“ მედალს.

ამხანაგებო!

ამ დარბაზში მყოფთაგან ბევრნი ყამირის ამბებს უშუალო მონაწილენი არიან, ბევრს ახსოვს ყამირის პურისათვის გაჩაღებული გრანდიოზული ბრძოლის მრავალი დაძაბული დღე და ღამე. მაგრამ ერთიანან შთამბეჭდავ პანორამად შეკრას, ერთ მძლავდ ასახას ეს ძნელი და ვაჟკაცური სადგი დღეები, გამოავლინოს ამ სახალხო გმირობის, პარტიული გმირობის დედაარსი — ყოველივე ეს ხელეწიფება მხოლოდ ისას, ვისაც ხელი არ მოუშორებია ყამირის საქმეთა აჩქარებული მაჯისცემისათვის. ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა, რომელიც იმ წლებში ყაზახეთის პარტიულ ორგანიზაციას მეთაურობდა, უდიდესი როლი შეასრულა ამ. ჭეშმარიტად გიგანტური მუშაობის ორგანიზაციაში, რადგან იგი მთელ თავის ენერგიას, პარტიული ხელმძღვანელის მთელ თავის მდიდარ გამოცდილებას. ორგანიზატორის შესანიშნავ ნიჭს სრულად ახმარდა მას.

ვ. ი. ლენინი, აფასებდა რა „რუსეთის“ მიწათმოქმედ-კომუნისტთა 1-ლი საზოგადოების“ ყამირულ თაოსნობას, ამბობდა, პირველ რიგში ენთუზიასტთა დასახმარებლად „გამოცდილი პრაქტიკოს-ორგანიზატორის“ შერჩევისათვის უნდა ვიზრუნოთო. ლენინური თეზისი, რომ საქმის წარმატებას წყვეტს კარგი ორგანიზატორი, როგორც ყოველთვის, მოიშველია პარტიამ იმ დღეებშიც, როცა ყამირის შეტევა მზადდებოდა. პარტიას ასეთ მომწიფებულ, გამოცდილ, მასშტაბურად მოაზროვნე ორგანიზატორად ეგულებოდა ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევი, ადამიანი, რომელსაც გამოელილი ჰქონდა პოლიტიკური მოღვაწის სკოლა მცირე მიწის სანგრებში, ალორძინების მშენებლობებზე, ესმოდა ქალაქის საზრუნავი და სოფლის საკვანძო, იცოდა, რა სჭირდებოდა ქარხანას თუ ყანას, ჟაკი, რომლის წინაშე იხსნებოდა ადამიანთა გულები.

რევოლუციის მრავალმხრივმა და პერსპექტიულმა სტრატეგიამ, რომელმაც შემდეგ ეროი ქეშმარიტად ისტორიული საკითხთაგანი გადაწყვიტა ყამირის ეპოქაში, იმითავითვე მიმართა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საზოგადოებრივ წესს. და, მაშასადამე, მსხვილ მეურნეობებს რომ ქმნიდა, იგი მასების შეგნებასა და ენთუზიაზმს ეყრდნობოდა. ჩვენ ვიცით, რა მჯურავლად მიესალმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი „მიწათმოქმედ-კომუნისტთა“ წამოწყებას, რომლის ერთ-ერთ ორგანიზატორად ეგულებოდა ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევი. ეს ბატონ-ყმობა ალიფერი დროშა ავაფრიალეთ, ბატონ-ყმობის ისტორიაში ანარეკლი ეპოქა — „ომი“ ნიშნავს ბრძოლა ბატონ-ყმობის ეპოქა ავიწყეთ, ბატონ-ყმობა

პარტიის გმირობა, ხალხის გმირობა

(დასასრული)

ხორციელებთ წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციას, ვიღებ ისეთ „ომპლექსურ“ პროგრამებს, როგორიც არის რუსეთის ოდინდელი მიწების — არაშავმოწანიდადგიანი ზონის გარდაქმნა...

ყამირის გამოცდილება იმითაც არის საგულისხმო, რომ მეტკვიდრეობითობისა და ანალოგიის კანონების შესაბამისად გვინერგავს სრულ რწმენას, რომ რეალური და ცხოვრებისეული ამოცანები, რომლებიც ქვეყნის სოფლის მეურნეობას დაუსახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა, დიახ, გწამს, რომ მკვიდრი და ურყევია ხიდი, რომელიც ლენინდ ილიას ძის თაკაკობით გაიდო იმ დაძაბული დღეებიდან ჩვენს ოლიებამდე. რაც, როგორც ეს ხაზგასმით აღინიშნა ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, „გეგმის პროექტი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის მაღალ მაჩვენებლებს გულისხმობს“.

ყამირი გახდა სახელმწიფო საქმეში მილიონთა მონაწილეობის სკოლა. პარტიამ და ხალხმა მოიგეს არა მარტო ეკონომიკური ბრძოლა, არამედ აგრეთვე ბრძოლაც მასების ნების გამარჯვებისათვის, პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გამარჯვებისათვის.

ყამირი ქვეყნის ბეღელი გახდა. ასე დაამტკიცა პარტიამ კიდევ ერთხელ თავისი თანამიმდევრული აგრარული პოლიტიკის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა დასაბამი მისცა მტკიცე კურსს — სოფლის მეურნეობის სტაბილური აღმავლობის უზრუნველყოფის, სასოფლო-სამეურნეო შრომის თვით ხასიათის გარდაქმნის, ჩვენი სოფლის კარდინალური სახეცვლების კურსს.

იმისათვის, რომ წარმატებით გადავწყვეტოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები, შევასრულოთ პარტიის XXV ყრილობის მიერ სოფლის მეურნეობის დარგში შემუშავებული პროგრამა, მივაღწიოთ მიზნებს, რომლებიც განსაზღვრეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა. უნდა შევინარჩუნოთ ყამირის სანიმუშო გამოცდილებით, ნასვენი მიწების ათვისებისა და უხვი მოსავლის მოწეკის საქმეში პარტიული, სახელმწიფოთა, სამეურნეო ხელმძღვანელობის სტილითა და მეთოდებით.

შეიძლება თქვან, საე საქართველოს და საე ყაზახეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობები, მათ შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ აქ ხომ საქმე ეხება არა ტექნოლოგიურ თავისებურებებს, არამედ პრობლემის გადაჭრისადმი მიდგომის თვით პრინციპს. განა ერთმანეთს არ ჰგავს ყამირის პრობლემები და კოლხეთის დაბლობის ათვისების პრობლემები, როგორ გადაჭრა სულაც იმიტომ კი არ გაჭიანურებულა, რომ ტექნოლოგიური ძიება მიმდინარეობს, ანდა მეცნიერული ნაშუშევრები აკლიათ, არამედ იმიტომ, რომ ჯერჯერობით ჯერ არ არის დაყენებული საქმის ორგანიზაცია და მთლიანად ორგანიზატორული მუშაობა.

ანდა აკიოლთ, მაგალითად, ჩვენი მეურნეობისათვის ისეთი საჭირბოროტო საკითხი, როგორიც არის ბრძოლა სტიქიურ მოვლენებთან, კერძოდ, ქარისმიერ დიდად ზარალიან ეროზიასთან, ზარალი დღეს ორასი ათას ეროზირებულ ჰექტარს შეადგენს. ამ ცოტა ხნის წინ წიგნის— „ყამირისაომი“ მიძღვნილი გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ ზეპირ გამოშვებაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა შაოთა ჭანიშვილმა ოა სხვა გამოსულმა ამხანაგებმა მკაცრად გააკრიტიკეს დანაშაულებრივი მიდგომა საქართველოს რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში მიწათსარგებლობისა და საკარგულების პროდუქტიულობისაში. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნასთან ბრძოლის ეფექტიანი ტექნოლოგია შექმნილია და გვაქვს საკრონ მანქანა-მექანიზმები, რესპუბლიკის ზოგიერთ მეურნეობაში ეს მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული.

უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე სახნავი მიწების კატეგორიიდან ნაკლები ინტენსიურობის სასოფლო-სამეურნეო საკარგულების კატეგორიაში გადავიდა 120 ათას ჰექტარზე მეტი მიწა.

ეს, ამხანაგებო, ძალზე დამფიქრებელი ციფრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკაში სახნავი მიწების ფართობი 800 ათას ჰექტარს არ აღემატება. ამედი ერნია ვიჭონთო, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი, ბუნების დაცვის კომიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ინსტიტუტები, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები საჭირო ზომებს მიიღებენ, რათა დაუყოვნებლივ საქმიანად დაიწყოს ბრძოლა ქარისმიერი ეროზიის, მეწყრისა და სხვა სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ, ამასთან აქტიურად გამოიყენონ ამ საქმეში მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები, უწინარეს ყოვლისა კი ყაზახეთის ყამირი მიწების ათვისების მდიდარი გამოცდილება.

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნში ნათქვამია, რომ „ყამირზე პარტიის აგროტექნიკური პოლიტიკა, მოკლედ რომ ვთქვათ, იმით გამოიხატებოდა, რომ შეძლებისდაგვარად შეგვემცირებინა სტეპის პირველქმნილი ბუნებაში ადამიანის ჩარევის უარყოფითი შედეგები, დაგვემკვიდრებინა აქ მემინდვრეობის უმაღლესი კულტურა, შემდეგ კი შეგვქმნა კიდეც გვალვიანი ზონისათვის კარგად მომარჯვებული მიწათმოქმედების სისტემა“.

სწორედ ეს პრობლემა გახლავთ საქმისადმი პერსპექტიული, დაკვირვებული მიდგომის გეგმა, რომელიც კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარეობს.

გავიხსენოთ წლები, როცა დასაკლეთ საქართველოში ჩაის პლანტაციების გაშენება ხდებოდა, გავიხსენოთ, როგორ უწინასწარმეტყველებდნენ ამ წამოწყების მარცხს ჩამოსული უცხოელი სპეციალისტები. მაგრამ მაძიებელმა გონებამ და თავდადებულმა შრომამ დაძლია ის, რაც თითქოს დაუძლეველი იყო. პირადპირ ვიტყვით — მართლაც რომ საშვილიშვილო საქმე გაეკეთდა. წლითიწლობით იზრდება მოსავალი. მაგრამ ყველაზე გასაკვირი ახლა, აღაცა რომ თქვას, ის არის, რომ მიღწეული უკვე აღარ გვაკვირვებს.

ეს წელსაც ჯაჭარიანელებმა და მეგობარებმა ახალი გამარჯვებით გვიგახარეს. ჩვენ მორიგ საბრძოლო ამოცანად უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს წარმატებანი რაზმავდნენ სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებსაც. ჩვენ უნდა ვგრძნდეს იმის სრული გარანტია, რომ რეალურია წარმატებით შეასრულებს სახელმწიფო გეგმას ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხრივ. სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარმოებდეს პარტიულ-ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

თანაც, „ყამირში“ ასეთი რეკომენდაციები დადასტურებულია სიტუაციის საღი შეფასების, გადამწყვეტი რგოლის ძიების, პარტიის გადაწყვეტილებისა და მითითებების განუხრელი შესრულების კონკრეტული მაგალითებით. ავტორი ხშირად მიმართავს ყამირის პარტიელ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა მუშაობის ანალიზს, აღნიშნავს დაშვებულ ნაკლოვანებებს და თვალსათლივ გვიჩვენებს, როგორ მოიპოვება კადრების პოლიტიკური, საქმიანი და მორალური ავტორიტეტი.

ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობათა ხელმძღვანელებისათვის, დარწმუნებული ვარ, უდავოდ ურაღსაღილი იქნება, მაგალითად, ნაამბები საბჭოთა მეურნეობა „სტეპნიაკის“ დირექტორ კოვალენკოზე — უნიათო, უინიციატივო მუშაკზე, რომელმაც არ იზარნა მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების საკითხთა გადაწყვეტისათვის და ამის გამო დაკარგა მთელი ავტორიტეტი და პატივისცემა. „როცა ზოგიერთ დირექტორს ვეკრიტიკებდი, ხალს ვარეკლი ატრიასა და ნახარშნუხარშს ამბეგთმეტი, — წერს ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევი, — პასუხად ერთი და იგივე მესმოდა: ფონდები არა გვაქვს, ფონდები მოკვეცილია! თქმა არ უნდა, მთელი რიგი პრობლემების ცენტრალიზებული ფონდები სოფლისთვისაც უნდა გვქონდეს. მაგრამ კარტოფილის, კომბოსტოს, კიტრის, საზამთროს და ფონდებზე ხელმძღვანელებაა? ყოველივე ეს მშვენიერია ხარის ნებისმიერ მეურნეობაში. იგივე შეიძლება თქვას კვერცხზე და რძეზე. ბელეკაცს ოდითგანვე თავისი ქალამები ჰყავდა, ქალაქში ჰყიდდა კვერცხს, ბაზ ახლა თითოეული კვერცხი განაწესით რატომ უნდა მიიღოს მოსკოვიდან?“.

განა ცოტაა ჩვენში ასეთი შემთხვევა? გაცილებით ნაკლები ბრძოლაა და სიძნელე გვაქვს ბოდა პრობლემებით მომარაგებაში, თითოეულ სოფელში, ყოველ მეურნეობაში გულიანად რომ მუშაობდნენ და მარჯვედ იყენებდნენ ხორცის, რძის, ბოსტეულის, ხილისა და სხვა პროდუქტების წარმოების ადგილობრივ რესურსებს, ავითარებდნენ პირად საკარმიდამო ნაკვეთებსაც და მეცხოველეობასაც.

ამ ცოტა ხნის წინ ბევრი ჩვენგანი მოწმე და მონაწილე იყო დიდი ზეიმისა, რომელიც უკრაინის გენიჩესკის რაიონის და საქართველოს მახარაძის რაიონის მშრომელთა მეგობრობისა და შეჯერების ორმოცი წლისთავის აღსანიშნავად გადაეხიბადეთ. თქვენ კარგად იცით ამების ისტორიაც და წინაისტორიაც, და ამიტომ საჭირო არ უნდა იყოს ამ ამბის დაწვრილებით მოყოლა. მაგრამ აქ მოვიყვან მხოლოდ იმ ფაქტს, რომ თანამშრომლობის, ინტერნაციონალური მეგობრობის შესახებ საუბართან დაკავშირებით ჩვენ კიდევ ერთხელ ვიგრძენით რაოდენ დიდია ასეთი მაგალითების აღმზრდელობითი ძალა, რაოდენ ძლიერია მათი პროპაგანდისტული მუხტი. ეს ფაქტები ჩვენი ყოფიერების ყოველდღიური ნორმა უნდა გახდეს.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ახალი წიგნის „ყამირის“ მნიშვნელობა მარტოოდენ მდიდარი შინაარსითა და სამეურნეო, სახელმწიფო და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის სრულყოფის შესახებ მოცემული საგულისხმო რეკომენდაციებით არი აღიმბეგა. მას ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს უწინარეს ყოვლისა ჩვენი პარტიისა და მთელი ჩვენი საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივ-აღმზრდელობითი საქმიანობის დარგში.

„ყამირისა“ და „ყამირელის“ ცნებების ახალი ზოგად-პოლიტიკური შინაარსის წარმოჩენა მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა განსაზღვრო საბჭოთა ცხოვრების წესის სპეციფიკა.

მთელი ხელმძღვანელი კადრები უნდა შეიარაღდნენ ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის დებულებით „ადამიანის ბედნიერების დოგეგმვის“ სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ. ადამიანების კომუნისტური ზრდნვის ამ საოცრად ხატოვანმა ასპექტმა, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა გააშუქა ფილოსოფიურად ამაღლებული განსაზღვრით, თავისი გამოხატულება უნდა პოვოს შრომითი კოლექტივების სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმების შედგენისა და განხორციელების გამოცდილებით, დემოგრაფიული პრობლემების სწორი გადაჭრისა და საბჭოთა ადამიანის გაზრდილ მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა ყოველმხრივი დაკმაყოფილების ამოცანების დადაწყვეტით, „იმიტომ, რომ უამისოდ, — როგორც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი წერს, — შეუძლებელია ქვეყნის კეთილდღეობა“.

წიგნის დასაწყისში ერთ-ერთი ეპიზოდი მთავრდება სიტყვებით, რომელსაც შეიღება ფრთოსანი ფრაზა ეწოდოს: „უნდა შეგიძლოს რჩევის ხალხს დაეკითხო“. ამ „შეძლების“ განხორციელება მოითხოვს ნიადაგ ამოწმებდე ადამიანებთან ურთიერთობაში შენი გადაწყვეტილებების, პოზიციების, აზრის სისწორეს—მასში ჩაქსოვილია მასების ხელმძღვანელისადმი პარტიული მოდგომის თვით პრინციპი. წიგნის ეპიზოდებში ჩვენ ვხედავთ ლენინდ ილიას ძეს, როცა მან მოიცალა ამისათვის, რომ საადგურში დინჯად ესაუბრა ყმაწვილ ადამიანთან, რომელსაც შინაურული სიმყუდროვე მონატრებოდა, ეხედავთ და თითქოს ჩვენვე გვესმის დარბაისლური სიტყვები, რომელიც, რომელიც თვისთავად ამ ახალგაზრდის ბედს წყვეტს: „შენ ნება არა გაქვს ცხოვრება გაქცევიდ დაიწყოო“. ვხედავთ ლენინდ ილიას ძეს ძველ ლენინგრადში, როცა დამამზადებლები მოზდეავებულ პურს ვერ აუდიან, ის კი მაღისე ეპოვის დამაჯერებელ გადაწყვეტას; ეხედავთ მზრუნველობას „უამრავ წერილმანში“, წერილმანებში, რომლებიც ერთიერთმანეთს ამატებდა და დღითიდღე ქმნის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას ადამიანებისათვის.

„...ყოველგვარი ჯერის პატაკებს, ქვემოდან ზემოთ ინსტანციების გავლისას, დამაბიჯების თვისება ახასიათებს. თანაც ყოველთვის ერთი მიმართულებით, გაიოლების, შერბილების მიმართულებით.

მარტო „კანონიკური“ ხელმძღვანელობა არ ეკმარა, ყოველდღიური ცოცხალი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ხალხთან, უნდა ჩავდიოდეთ ადგილებზე. საკუთარი თვალით ვნახოთ წარმატებანიც, წამოჭრილი სიძნელეებიც და, როცა საჭიროა, ოპერატიულად ჩავერიოთ“.

როცა ამ დასკვნების არსს ვეწვდებით, ჩვენ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ადამიანებთან მუშაობაში „წვრილმანები“ არ არსებობს. „ეთილმოწყობა — ეს არის... უწინარეს ყოვლისა პოლიტიკა, სადაც შეიცდომები ძვირად გვიჯდება: ომში — ხალხი იღუპება, მშვიდობიან ხანაში — მატერიალური და ზნეობრივი დანაკარგები მატულობს“.

როცა ფანქრით ხელში ვაანალიზებთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებებს, შეგვიძლია ჩვენს პარტიულ საქმეში ფრთად დიდნაწილნელოვანი განმაზოგადებელი დასკვნა გამოვიტანოთ: როცა ვგიამბობს, არსებითად, თავის გამოცდილებას, ვიგიზარებს პირად შთაბეჭდილებებს, თავის დაკვირვებებს, ანუ, უდავოდ შეაქვს მოგონებებში პირადი საწყისი, „მცირე მიწის“, „ალორძინებისა“ და „ყამირის“ ავტორი გვაძლევს მოგონებათა ყანრის კანონებისათვის უმაგალითო კაკვეთილს — ლაპარაკობს რა პირადად განცდილზე, იგი გვიხატავს თაობებისა და ეპოქის პორტრეტს. ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის მოგონებათა მთავარი გმირი — ეს არის მასა, ხალხი, რომელიც ყამირის გმირთა სახით წარმოგვიდგება. ამ კრებსითს პორტრეტს ავტორმა წაუძღვარა დახასიათება-განსაზღვრა გმირობის არსზე: „გმირობის საწყისი სხვადასხვაგვარად ვლინდება. ერთი და იგივე კაცს შეუძლია სასწორზე შეადოს თავისი სიცოცხლე და ცეცხლოდებულ სახლში შევარდეს, მაგრამ გაუჭირდეს ყოველდღიურად მონოტონური სამუშაოს კეთება. არსს ანაზდეული გმირობა. არის მთელი ხალხის ცხოვრებაში ძნელი პერიოდების გმირობა. ამის მაგალითია ომი. და არის სადაც დღეების გმირობა, როცა ადამიანი შეგნებულად, თავისი ნებით ყოფს თავს ულელში, თუმცა იცის, რომ სხვაგან ეს ჯაპანი შეიძლება არც ეწია. ჩემი აზრით, ყამირელებსა გმირობა გვიჩვენებს. მათ ამ გაუძლეს პირველ ხანებში ყველა ყოფითს გაჭირვებას და წლების მანძილზე მოთმენებითა და მედგრად ამორჩილებდნენ ამ ჯიუტ მიწას“.

როცა ამ სტრიქონებს კითხულობ, ხედავ, თუ რაოდენ ტევადი განსაზღვრას შეიცავს ასე ხატოვნად და, ყამირელი გმირობის შეფასებისათვის, ასე ზუსტად მიგნებული, ზედგამოჭრილი სიტყვები: „ყამირული ისტორიული ფენომენაო“.

როცა საბჭოთა ადამიანების მასობრივი გმირობაზე ელაპარაკობთ და კანონიერი სიამაყით ვადიდებთ საბჭოთა ცხოვრების წესს, ჩვენ ნათლად გვაქვს შეგნებული, რომ ჩვენი გმირული სინამდვილე ლენინიზმის ობიექტური მეცნიერული პროგრამით არის გაპირობებული.

„ყამირი“ თავისი პრობლემატიკის მთელი მრავალფეროვნებით, ფორობის საბრძოლო სულისკვეთებით, მოვლენათა ზეიმორობითა და დასკვნების საქმიანი პრინციპით — შრომის ეპოპეის დიდი და საგულისხმო გამოცდილების მაღალი შემოქმედებითი შედეგია. ამ ეპოპეაში ადამიანები ყამირს ამაღლებდნენ, ყამირი კი ადამიანებს. ასე იზრდნენ ქართველი მეყამირეებიც. „კარგად გაისარჯნენ ყამირზე ამ დროს საქართველოს წარგზავნილნი. უკვე 1954-1955 წლებში ყამირ მიწებზე კომკავშირის საგზურებით ჩავიდნენ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო ახალგაზრდა სპეციალისტები — ტრაქტორისტები, მშენებლები, მექანიზატორები, ექიმები...

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქალიშვილებისა და ჰაბუკებისათვის ყამირზე მუშაობა სიმტკიცისა და ნებისყოფის სკოლიოზული გამოცდა აღმოჩნდა. „1954 წლის ზამთარი სუსხიანი, დიდთოვლიანი და მკაცრი იყო, — იგონებს ლენინდ ილიას ძე, — ყამირი ამბავითვე, „ზღურბლიდანვე“ სცდიდა ახალგაზრდებს, უჩვენებდა მათ თავის სიავეს და გოროზობას“.

ჩვენი ახალგაზრდობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უჩვეულო პირობებმა და მკაცრმა ჰაერმ ვერ გატეხა მისი სული. მოვალეობის გრძნობა და იმის შეგნება, რომ ისინი რესპუბლიკის ავანგარდს წარმოადგენენ სიუჟეტისათვის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო ბრძოლის მოწინავე მიჯნებზე, დაეხმარა მათ გაეძლოთ და დაეძლიათ ყველა დაბრკოლება. უნდა ითქვას, რომ ერთმანეთის გატანის, ურთიერთდახმარების გრძნობა მშვენივრად ეხმარებოდა შრომითი მეტოქეობის შემართებას. იმ წლებში „თავგადაჩენილთა შორის ყამირის გმირობის მატიანეში ჩაწერილია ჩვენი თანამემამულეების სახელებიც.

1956 წლიდან მოყოლებული ჩვენი სპეციალისტები, ჩვენი კომკავშირის საუკეთესო წარმომადგენლები ყოველ ზაფხულს ჩადიოდნენ ყაზახეთში მოსავლის აღების, სასოფლო-სამეურნეო ნაგებობებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სამუშაოებზე. კომკავშირული ბრიგადების სათავეში ედგნენ გამოცდილი ხელმძღვანელები, ისეთები, როგორიც არის საბჭოთა კავშირის გმირი დავით ჯაბიძე, რომლის მთელი ბიოგრაფია სწნიმუშო და სამაგალითოა ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ქართველმა ყამირელებმა შინ ჩამოიტანეს ჯილდოები, სიგელები, გარდამავალი დროშები, — რაც მთავარია, — ჩამოიტანეს მებრძოლი ყამირული სულისკვეთება, სულისკვეთება, რომელიც შრომითს მამაცობასა და მოქალაქეობრივ თვისებებს აყალიბებს. და კიდევ ერთი: ყამირზე მომძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებს შორის რთულ, უჩვეულო პირობებში შობილმა მეგობრობამ ღრმად გაიდგა ფესვი, თავისი კეთილშობილური კვალი დატოვა ახალგაზრდების გულში, რადგან შედეგიდაბეული იყო ერთიანი მიზნითა და დიდი სიტყვით „გარჯა“.

ყამირზე მარტოოდენ პურის პრობლემა როდი წყდებოდა. აქ თვალნათლივ გამოვლინდა ახალი ძალით საბჭოთა პატრიოტიზმის ძლიერება და ძლევამოსილება — საბჭოთა ადამიანების ისეთი დიდი თვისება, როგორიც არის უნარი გაერთიანდნენ, დაიარაზმონ სწორედ იქ, სადაც ყველაზე მეტად ჭირს, სადაც არ უნდა დაშუტრო ძალები, ხოლო თუ საჭირო გახდა, თვით სიცოცხლეც.

დიახ, სწორედ სიცოცხლეც... სტიქიისაგან სახალხო დოვლათის დაცვისას სიცოცხლე გაწირა უკრაინელმა ადამიანი ნესტერენკომ, ხანძრისაგან მოსავლის გადარჩენისათვის დაიღუპა ყაზარზე აგრეთვე ჩვენი თანამემამულე, თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნოდარ ნოდია. აუღელვებლად ვერ წაიკითხავ წერილს, რომელიც ნოდარ ნოდიას დედამ, ელენე მაყაშვილმა გაუგზავნა ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევს. ის ამ წერილის შინაარსი: „ძვირფასო ლენინდ ილიას ძევ! სულმოფთქმელად წაიკითხე თქვენი შესანიშნავი „ყამირი“. მისი თითოეული სტრიქონი განსაკუთრებით ახლოგელი და ამაღელვებელია ჩემთვის. „ყამირმა“ ერთდროულად უდიდესი ნეტარებაც მომანიჭა და ძველი იარაც გამიხსნა.

მომიხვდებით, რას ნიშნავს ოჯახისათვის დეფისერთა ეფის დაღუპვა, მაგრამ მეც და ჩემი მეფლელეც, აწ განსვენებული პროფესორი მეხელი ნოდია, თავს ამით ვინუგეშებდით, რომ ჩვენმა შვილმა სიცოცხლე შესწირა დიდ, საყოველთაო-სახალხო საქმეს, შესწირა ისეთივ, როგორც ალეკსანდრე მატროსოვმა და დიდი სამამულო ომის სხვა გმირებმა.

ახლა თქვენი მოგონებანი რომ წავიკითხე და შევიგრძენი, რამდენი სიძნელე გადალახანა ხალხმა დიდი პურისათვის ბრძოლაში, რა თავდადებით ირჯებოდა ათიათასობით ჭაბუკი, ისეთები, როგორც ჩემი ვაჟი იყო, სვედა შემამსუბუქდა და ტკივილი დამიადა.

დიდად გმადლობთ, ძვირფასო ლენინდ ილიას ძევ, რომ თქვენი შესანიშნავი „ყამირით“ უკვდავების ძიგელი დაუდგით ამ გრანდიოზული ლაშქრობის მონაწილეებს, მათ შორის ჩემ შვილსაც“.

„ყამირის“ გამოქვეყნებისთანავე, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა აკადემიის მთელი კოლექტივის სახელით „კომსომოლსკაია პრავდას“ გაუგზავნეს წერილი, რომელშიც წაწალდადის ინტერნაციონალური ფიქრ-ოტენციალი ასეთი ბოლოსიტყვაობა — „ბრძოლა ხსოვნა — უკანონელი და ქართველი ეაკაკის ხსოვნა და დაუდგან მათ ძეგლები იქ, სადაც ყამირის ამ გმირთა გულსაძგერა შეწყდა. ეს მეტად ამაღელვებელია, ეს ძალიან კარგია. სწორედ ეს გახლავთ თაობათა შემკვიდრეობითობა.

მაინც, რატომ არის, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებები ჭეშმარტად სახალხო წიგნები ხდება ხოლმე? თან არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ხომ არა აქვს ამ ამბავს რაღაც განსაკუთრებული საიდუმლო? ვფიქრობ, „საიდუმლო“ ის არის, რომ ეს წიგნები დაწერა არა გარეშე მეთვალყურემ ანდა გულგრილმა ყამაოაიმწერელ-მემატიანემ, რომელსაც მემუარების წერის მოთხოვნილება ამოძრავებდა. არა. ასეთი მოუცელელი ადამიანი საამისოდ ვერ გასწირავდა თავის დროის ბიუჯეტს, ამისათვის ვერ მოიცალდა. ეს წიგნები არის ალაბმართალი, შეუფერფლებელ-შეულამაზებელი, ვაკაცური ნაამბობი მებრძოლი კომუნისტისა, რომელიც ბომბერაზად წამოიმართა ხალხის წიაღიდან. წამოიმართა თავისი ბრძენკაცობისა და ტიტანური გამოჯეობის, უდრეკი ნებისყოფისა და ამაღლებული ადამიანური მოზეობით, და მიაღწია თანამედროვე სამყაროს უძლიერესი სახელმწიფოსა და ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელის მწვერვალს. **ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა ძვირფასი თეორიული განზოგადებანი და პრაქტიკული დასკვნები უნდა გახდეს ყველა კომუნისტისა და კომკავშირელის, ყველა მშრომელის, მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა.**

და ამ საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა იკისრონ, უწინარეს ყოვლისა, იდეოლოგიურმა ფრონტმა და მისმა მებრძოლებმა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ საგანგებოდ შემუშავებული გეგმის რეალიზაციას, რომელიც ითვალისწინებს თემატიკურ მეცადინეობას ყველა ფორმის პარტიულ და კომკავშირულ სწავლებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვებს, იდეოლოგიური აქტივის კრებებსა და განხილვას შრომითს კოლექტივებში, აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა საუბრებს, თვალსაჩინო აგიტაციას, გამოფენებსა და ა. შ. მთელ ამ მუშაობაში აქტიურად უნდა ჩაებან თავად ყამირელები, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მშრომელები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები, პროპაგანდისტები, ჟურნალისტები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა აქტივისტები, შემოქმედი, მეცნიერი ინტელიგენცია და, განსაკუთრებით, რესპუბლიკის საზოგადოებათმეცნენი ისწრაფიან მაქსიმალურად გამოიყენონ წიგნში მოცემული უმდიდრესი მასალა, რათა სრულყონ მთელი თავიანთი მუშაობა, უწინარეს ყოვლისა კი მუშაობა, რომელსაც მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, პატრიოტული აღზრდისათვის ეწევიან ჩვენი პარტიის გეგმების, ხუთწლეული გეგმების განსახორციელებლად გაჩაღებულ ბრძოლასთან მჭიდრო კავშირით.

სასიხარულოა, რომ ასეთი მაღალ დონეზე ჩაიარა სამეცნიერო-თეორიულმა კონფერენციამ, რომელიც პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა და რესპუბლიკურმა საზოგადოებამ „ცოდნამ“ მოაწყვეს, ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალისა და ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ერთობლივმა ღონისძიებამ. ყველგან მთავარი ყურადღება ეთმობა იმას, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის, რომლებიც ამდიდრებენ მეცნიერული კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის ფუნდამენტურ დებულებებს, ლაიტმოტივად გასდევს აზრი პარტიისა და ხალხის მიერ კომუნისტურ მშენებლობაში შეძენილი გამოცდილებისა და კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანების დაყენების განუყრელ კავშირს შორის.

ლ. ი. ბრეჟნევის „ყამირი“ მდიდარ მასალას გვაძლევს ჩვენი ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდისათვის მოშაობაში. **შრომის ფრონტზე მასობრივი გმირობის, სადაც დღეების გმირობის მაგალითები ჩვენი ადამიანების შემოქმედებითი აღმშენებლობითი შრომის მკაფიო მორალური ორიენტირი უნდა გახდეს.**

მრავალი ინტერნაციონალური კოლექტივის ჩამოყალიბების, მათი შეკავშირებისა და ოპტიმალური ფუნქციონირების გამოცდილება, რომელიც „ყამირში“ მოგვეცა ლენინდ ილიას ძემ, ჩვენთვის ახალგაზრდობისა და მთელი ჩვენი ხალხის ინტერნაციონალური აღზრდისათვის მოშაობის ფორმებისა და მეთოდების უშრეტი წყაროა. ამ მხრივ ფასდაუდებელია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითება რესპუბლიკათა ეროვნული კულტურებისა და ეკონომიკის განვითარების ამოცანებისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის, მთელი საბჭოთა ეკონომიკისა და მეურნეობის განვითარების ამოცანების ფუნქციური დამოკიდებულების შესახებ.

ღრმა მნიშვნელობით არის აღსავსე მოგონების ის ადგილები, სადაც ნათქვამია, თუ როგორ გადაჭრეა ყამირმა ყაზახეთი მთლიანად ერთ „ასი ენის პლანტაციად“.

ყამირის აღორობას ლენინდ ილიას ძე უწოდებს ინტერნაციონალური აღზრდის ნამდვილ სკოლას, რადგან ყამირს მთელი ქვეყანა ტეხდა. და ამიტომ იმათ, ვინც მაშინ ყამირის ველებზე ირჯებოდა, კარგად იციან, რომ ყამირის პური ინტერნაციონალური პური.

ჩვენმა საზოგადოებათმეცოდნეებმა უნარიანად უნდა ასახონ თავიანთ საკვლევ და პროპაგანდისტულ შუშაობაში ის დებულება, რომ კულტურათა ურთიერთობისა და ერთმანეთის გამდიდრების კანონს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს დროში, გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში, მის მომწიფებულ სტადიაში, ჩვენი ხალხების ჭეშმარიტი ძმობის ატმოსფეროში.

მხოლოდ ამ ურთიერთობის მეობებით, დიდ რუსულ კულტურასთან ურთიერთობის მეობებით გაკიდა საქართველოს რესპუბლიკის ყველა ხალხის ლიტერატურა და ხელოვნება მსოფლიო ასპარეზზე, გავიდა და კაცობრიობის სამსჯავროზე გაიტანა არა მარტო ის, რაც თანამედროვე ხელოვნთა შემოქმედებასა და მოღვაწეობას შეუქმნია, არამედ ისიც, რასაც ხალხის შემოქმედებით გენია ქმნიდა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ეროვნული შეზღუდულობა, რომელზეც ლ. ი. ბრეჟნევი ლაპარაკობს, ჩვენში უკვე საბოლოოდ და მთლიანად იყოს დაძლეული. საბუნებრივად, ჯერ კიდევ ვხედავთ ზოგან ამხანაგებს, რომლებსაც არ ესმით, რომ კულტურული ურთიერთობისა და კონტაქტების სიფაფაბ-საკაცობრიო ბუნებას ბოროტად ეროვნულ კულტურას, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მის უფრო ინტენსიურ განვითარებას. მისთვის ზოგად-საკაცობრიო შინაარსის მინიშვნელობა, მის გასვლას ინტერნაციონალურ, საერთაშორისო ორბიტაზე.

ეროვნული ღირსებების, ხასიათების, ისტორიის, ჯანსაღი ტრადიციების სიყვარული ბუნებრივი გრძნობაა და ამ გრძნობას ჩვენ, კომუნისტები, დიდ პატივს ვცემთ. სამწუხაროდ, ზოგიერთი ამხანაგი ისე კადნერდება, რომ სათანადოდ იხდის ამ გრძნობებს, ერთმანეთს უპირისპირებს „თავისას“ და „უცხოს“. ასეთ შეცდომებს ფრთად სერიოზული შედეგები მოსდევდეს, და ამიტომ იყო, რომ მათი გამოსწორება ასე დიდხანს გვიხდებოდა, ამიტომ დაგვჭირდა წლობით მუშაობა, რათა გამოგვესწორებინა მცდარი სიტყვით თუ არასწორი ნაბიჯით გამოწვეული ზიანი.

ძნელია დაწვრილებით ჩამოთვალო მთელი ის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ერთვნეულად საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილების დამტკიცების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ბარტნოვსკი ანდრია ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივისაგან;

თევზაძე მანანა გრიგოლის ასული — თბილისის ტელეგრაფის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

კავთიაშვილი ნადეჟდა იასონის ასული — თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

კაზაკოვი პაველ მიხეილის ძე — თბილისის პატონის სახელობის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ბოიოიანი ეფიერ ვარლამის ასული — თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ნერსესიანი სვეტლანა მოსესის ასული — თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ჯაფარიძე ალექსანდრა ივანეს ასული — თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ამირანის“ პირველადი ორგანიზაციისაგან;

